ნინოწმინდის ბავშვთა სახლის აღსაზრდელებმა საჩუქრები მიიღეს

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ეგიდითა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს თანადგომით ნინოწმინდის მზრუნველობამოკლებული ბავშვები დასაჩუქრდნენ.

საყოფაცხოვრებო ნივთები, სურსათი, წიგნები, სათამაშოები, მედიკამენტები, ტკბილეული, ხილი — ეს ის აუცილებელი და საჭირო ნივთებია, რომლის გარეშეც ნინოწმინდის ბავშვების სრულფასოვანი აღზრდა და განათლების მიცემა ქართულ-სომხურ საზღვარზე თითქმის შეუძლებელია.

აქციაში ჩართული ადამიანებისგან კეთილი ნების გამოხატვამ და ნინოწმინდაში სტუმრობამ მასპინძლები მეტად გაახარა. მზრუნველობამოკლებული ბავშვები, რომლებიც განსაკუთრებული სითბოთი და გულისხმიერებით გამოირჩევიან, სტუმრებს სპეციალურად მათთვის მომზადებული კონცერტით შეეგებნენ. კონცერტზე ბავშვებმა პატრიოტულ მოტივებზე შექმნილი ქართველი კლასიკოსების ლექსები, ქართული საგალობლები და ქართველი კომპოზიტორების სიმღერები შეუსრულეს.

ნინოწმინდის ბავშვთა სახლში სტუმრობისას, მასპინძლებმა სტუმრებს მშენებარე კომპლექსი დაათვალიერებინეს, რომელშიც სულ მოკლე ხანში ბავშვთა სახლის აღსაზრდელები ახალსახლობას იზეიმებენ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ხელმძღვანელობა მადლობას უხდის ყველა იმ მოხელეს, რომელმაც კეთილი ნება გამოიჩინა და დახმარება გაუწია ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს.

გვინდა გაცნობოთ, რომ ნინოწმინდის ბავშვების პირადად გაცნობისა და დამეგობრებისას, მათი ხშირი ნახვისა და თანადგომის სურვილი გაჩნდა.

სააპელაციო სასამართლოს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, კანცელარიაში დაიდგმება სპეციალური ყულაბა, სადაც მოხელეები თანხას ბავშვთა სახლის დასახმარებლად ახალ წლამდე დააგროვებენ, საახალწლოდ კი სურსათ-სანოვაგით, ტანსაცმლითა და ტკბილეულით დატვირთულნი ნინოწმინდის ბავშვებთა სახლს კვლავ ესტუმრებიან.

ვიმედოვნებთ, რომ მოხელეთა აქტიური ჩართულობითა და თანადგომით, მსგავსი აქცია წელიწადში რამდენჯერმე განხორციელდება.

სააპელაციო სასამართლომ ბადრი ბიწაძის საქმის განხილვა დაასრულა

თბილისის სააპელაციო სასამართლომ ყოფილი საზღვრის დაცვის დეპარტამენტის უფროსის, ბადრი ბიწაძის სისხლის სამართლის საქმის განხილვა დაასრულა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ბადრი ბიწაძე წინასწარ შექმნილი ჯგუფის მიერ პოლიციელებზე თავდასხმების ორგანიზებისთვის სცნო დამნაშავედ და მას თავისუფლების აღკვეთა 5 წლითა და 6 თვით განუსაზღვრა.

დაცვის მხარემ სააპელაციო სასამართლოში პირველი ინსტანციის გამამტყუნებელი განაჩენის შეცვლა და მსჯავრდებულისთვის გამამართლებელი განაჩენის დადგენა მოითხოვა იმ მოტივით, რომ ბიწაძეს მსჯავრი უსაფუძვლოდ ჰქონდა დადებული.

სააპელაციო პალატამ დაცვის მხარის შუამდგომლობა ნონა გაფრინდაშვილის მოწმის სახით დაკითხვის თაობაზე დააკმაყოფილა, თუმცა მის მიერ მიცემულ ჩვენებას ბადრი ბიწაძის საქმეზე გავლენა არ მოუხდენია.

სააპელაციო პალატამ საქმეში არსებულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს და პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება უცვლელი დატოვა.

საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები: კახა კობერიძე და ლაშა კალანდაძე საქართველოში მოქმედ საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდნენ.

შეხვედრის მიზანი სტუმრებისთვის საქართველოში მიმდინარე სასამართლო რეფორმის, სასამართლოს დამოუკიდებლობისა და ბოლო პერიოდში ამ კუთხით განხორციელებული ინსტიტუციონალური და საკანონმდებლო ცვლილებების გაცნობა იყო.

საუბარი შეეხებოდა ისეთ თემებს, როგორიცაა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობა, დისციპლინური სამართალწარმოების კონფიდენციალურობა, სასამართლოს დამოუკიდებლობის ამაღლება, სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა, მოსამართლეთა დანიშვნა, შერჩევის კრიტერიუმების დადგენა, მოსამართლეთა შრომის დისციპლინის დაცვისა და დისციპლინური სამართალწარმოების, სასამართლოს საქმიანობის გამჭვირვალობისა და საჯარო ინფორმაციის გაცემა.

შეხვედრის დასასრულს, სტუმრებმა მიმდინარე რეფორმის გამო კმაყოფილება გამოთქვეს. აღნიშნეს, რომ მსგავსი შეხვედრები მნიშვნელოვანია, რადგან მათ შესაძლებლობა ეძლევათ, იმსჯელონ სასამართლო რეფორმასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

შეხვედრები ამ სფეროში მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციებთან, არასამთავრობო სექტორთან, ასევე, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსა და სამოქალაქო საზოგადოების სხვა წარმომადგენლებთან გაგრძელდება და პერმანენტულ ხასიათს მიიღებს.

შეხვედრა „კოალიცია მედიის ადვოკატირებისათვის“ და ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“-ს წარმომადგენლებთან

2011 წლის 18 ოქტომბერს, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები: კახა კობერიძე, ლაშა კალანდაძე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ბიუროს უფროსი და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დეპარტამენტების ხელმძღვანელები „კოალიცია მედიის ადვოკატირებისათვის“ და „ფონდ ღია საზოგადოება საქართველო“-ს წარმომადგენლებს შეხვდნენ.

შეხვედრაზე მათ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, სასამართლო სისტემის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებული ერთობლივი წინადადებები წარუდგინეს, რომლებიც სასამართლო სხდომების ვიდეო, ფოტო, ტრანსლაციის, სტენოგრაფირების, აუდიოჩაწერაზე რეაგირებისა და სასამართლო სისტემაში დაცულ დოკუმენტებში მონაცემთა დამუშავების წესს შეეხება.

წარმოდგენილი დოკუმენტის პარალელურად, იმსჯელეს ამ მიმართულებებით არსებულ პრობლემებსა და კონკრეტულ წინადადებებზე, ასევე მათი გადაჭრის გზებზე.

დასასრულს შეჯამდა არსებული, განხილული წინადადებები და წამოიჭრა სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. აღნიშნულმა შეხვედრამ მონაწილეთა მხრიდან დიდი ინტერესი გამოიწვია. სამომავლოდ, დაიგეგმა მსგავსი შეხვედრების გამართვა.

თელავის რაიონულმა სასამართლომ არასრულწლოვანი დარბაზიდან გაათავისუფლა

თელავის რაიონულმა სასამართლომ ქურდობის ექვს ეპიზოდში ბრალდებული არასრულწლოვანი ნ.უ სხდომათა დარბაზიდან გაათავისუფლა.

საქმის მასალების მიხედვით, არასრულწლოვანმა ნ.უ-მ ქალაქ ახმეტაში სხვადასხვა ქუჩაზე მცხოვრებ ექვს ადამიანთან სტუმრობისას, მათი სახლებიდან მართლსაწინააღმდეგოდ, ფარულად მიისაკუთრა ოქროს ნივთები და მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა დაზარალებულებს.

თუმცა, სასამართლომ გაითვალისწინა ბრალდებულის ასაკი, სხვა შემამსუბუქებელი გარემოებები, მას ჯარიმა მიუსაჯა და იგი სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა.

ახალქალაქის სასამართლომ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა

ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 13 ოქტომბრის განაჩენით, ბრალდებული არტამ ხაჩატურიანი ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა.

სასამართლოს არასაკმარისად მიაჩნია წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომელსაც ემყარებოდა წარდგენილი ბრალდება.

საქმის მასალების მიხედვით, ხაჩატურიანს ბრალად ედებოდა ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება ჯანმრთელობის ხანგრძლივი მოშლის გამო.

რა საქმეები გამოითხოვეს მოქალაქეებმა უზენაესი სასამართლოს არქივიდან?

უკვე სახლიდან გაუსვლელად, უზენაესი სასამართლოს ვებგვერდიდან მოსახლეობას საშუალება აქვს, მოიძიოს მისთვის საინტერესო სასამართლო გადაწყვეტილებები, მათ შორის ათეული წლების წინ დაარქივებული მასალებიც.

უზენაესი სასამართლოს არქივში დაცულია ისეთი გახმაურებული საქმეები, როგორიცაა: ძიუდოში ევროპის ჩემპიონის საქმე, სხვადასხვა დანაშაულებებში ბრალდებული მხედრიონელების საქმეები და ასევე, 70-იანი წლების პარტიული მაღალჩინოსნების საქმეები, რომლებიც ქრთამის ბრალდებით დახვრიტეს. სასამართლოს არქივის საძიებო პროგრამის პრეზენტაცია უზენაეს სასამართლოში გასულ კვირას გაიმართა, ათეულობით მოქალაქემ უკვე ინტერნეტის საშუალებით მოითხოვა და მიიღო კიდეც მისთვის საინტერესო გადაწყვეტილებები.

ამჟამად არქივში დაცულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის მიერ 1971—2005 წლებში განხილული განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეები.

რაც შეეხება თავად პროგრამით სარგებლობას, პროგრამაში შესვლა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე **www.supremecourt.ge** არსებული ბმულის მეშვეობით – სასამართლოს არქივი.

შესვლისას გვხვდება მოკლე ინფორმაცია პროგრამაში განთავსებული გადაწყვეტილებების შესახებ.

ძიების რეჟიმში გადასასვლელად აუცილებელია დარეგისტრირდეთ, რაც საჭიროა, მხოლოდ და მხოლოდ, მომხმარებლების ინტერესებიდან გამომდინარე.

თქვენთვის საინტერესო საქმის მოძიებისას, შეგიძლიათ გამოიყენოთ სამი პარამეტრი, ანუ გადაწყვეტილება მოძებნოთ:

1. საქმის ნომრის მიხედვით
2. მსჯავრდებულის სახელისა და გვარის მიხედვით
3. გადაწყვეტილების მიღების თარიღის მიხედვით

ვფიქრობთ, ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ შესაძლებელია მოძიებული გადაწყვეტილებების საკუთარ კომპიუტერში გადმოწერაც.

ამ ეტაპზე, უზენაესი სასამართლოს არქივის პროგრამაზე რეგისტრაცია გაიარა 150-მა მოქალაქემ, ყველაზე მეტი მოთხოვნა კი 1970-1990 წლებში განხილულ საქმეებზეა.